ოქმი:**ო03. 3723166001**

თარიღი:**15/06/2023**

ოქმი № 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2023 წელი, 14 ივნისი

ქ.ოზურგეთი

14.00 -14.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ბ. მელუა, ქ. ხომერიკი, მ. ვაშალომიძე, ლ. ბიგვავა, ნ. ქარჩავა, ტ. აროშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: ლ. თავაძე

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხოლო ვრცლად ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ბიუჯეტი იზრდება 7 მილიონ ლარზე მეტით და მიაღწია ისტორიულ ნიშნულს 70 მილიონ 273 ათას ლარს, შემდეგ კონკრეტულად განიხილა ის მუხლები და პროგრამები, სადაც მოხდა თანხების გადანაწილება, ინფორმაციის მ მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის

წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით.

მომხსენებელმა, გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“, ხოლო უფრო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ლ. თავაძემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტის ჯერ საკრებულოს ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი პროექტები წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი